

**„ცენტრალური გათბობის მფლობელ მომხმარებლად რეგისტრაციის შესახებ“ განაცხადი
(საყოფაცხოვრებო მოხმარების წილის გამოყვანის მოთხოვნის გარეშე)**

განმცხადებლის საყურადღებოდ!

განაწილების ლიცენზიანტი ვალდებულია, დაუყოვნებლივ დაარეგისტრიროს განმცხადებლის მიერ წარდგენილი ნებისმიერი სახის წერილობითი განცხადება (განაცხადი) და დაუყოვნებლივ გასცეს განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, რეგისტრაციის თარიღის მითითებით, ასევე რეგისტრაციისთანავე განმცხადებელს გაუგზავნოს წესებით განსაზღვრული ინფორმაცია ტექსტური შეტყობინებით.

განმცხადებელი არ არის ვალდებული, მიაწოდოს განაწილების ლიცენზიანტს რაიმე დამატებითი ინფორმაცია ან დოკუმენტი გარდა იმისა, რაც გათვალისწინებულია კომისიის მიერ დამტკიცებული განაცხადის ფორმით.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ცენტრალური გათბობის მფლობელ მომხმარებლად მიიჩნევა პირი, რომელიც მოიხმარს ბუნებრივ გაზს, ერთდროულად, ცენტრალური გათბობის საყოფაცხოვრებო ან/და არასაყოფაცხოვრებო მიზნით მოსარგებლე პირთათვის.

მიუხედავად იმისა, ვინ არის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ცენტრალურ გათბობის სისტემის ბუნებრივი გაზის მომხმარებლად რეგისტრირებული, მოხმარების მიზნობრიობა განისაზღვრება ცენტრალური გათბობის სისტემაში მოხმარების მიზნობრიობით და თუ ცენტრალური გათბობის სისტემის მოხმარება ხდება:

ა) სრულად საყოფაცხოვრებო მიზნობრიობით - მოხმარებული ბუნებრივი გაზის სრულ ოდენობაზე დარიცხვა განხორციელდება საყოფაცხოვრებო ტარიფით;

ბ) არასაყოფაცხოვრებო ან შერეულად (საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო) მიზნობრიობით - მოხმარებული ბუნებრივი გაზის სრულ ოდენობაზე დარიცხვა განხორციელდება არასაყოფაცხოვრებო ტარიფით (გარდა იმ შემთხვევისა, თუ შერეული მოხმარებისას ცენტრალურ გათბობის მოსარგებლეთა მოხმარება აღირიცხება ჭკვიანი მრიცხველებით და მოთხოვნილია საყოფაცხოვრებო მოხმარების წილის გამოყვანა).

იმ შემთხვევაში თუ ცენტრალური გათბობის სისტემის მოხმარება ხდება ერთდროულად საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მიზნობრიობით (შერეული მიზნობრიობით) და გასურთ საერთო მოხმარებიდან საყოფაცხოვრებო მოხმარების წილის გამოყვანა, ამ შემთხვევაში განაწილების ლიცენზიანტს უნდა მიმართოთ „ცენტრალური გათბობის მფლობელ მომხმარებლად რეგისტრაციის და საერთო მოხმარებიდან საყოფაცხოვრებო მოხმარების წილის გამოყვანის შესახებ“ განაცხადით.

თუ განაცხადის ჩაბარებიდან ერთი საათის განმავლობაში განმცხადებელი არ მიიღებს მოკლე ტექსტურ შეტყობინებას წესებით განსაზღვრული ინფორმაციის მითითებით, განმცხადებელი უფლებამოსილია, მიმართოს მომსახურე საწარმოს საჩივრებზე რეაგირების სამსახურს, ასევე მარეგულირებელ კომისიას მისამართზე: ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. #19; ვებ გვერდი: www.gnerc.org; ელ. ფოსტა: mail@gnerc.org; ტელ: 2420180; ქოლცენტრის ნომერი: 16216.

განაცხადის შევსების თარიღი „ _____ “ _____ „ 20 _____ წელი;

განცხადების ადრესატი: _____;

(იმ განაწილების ლიცენზიატის დასახელება, რომლის ქსელზეც მიერთებულია ცენტრალური გათბობის სისტემა)

I. პირადი და მაიდენტიფიცირებელი მონაცემები

1. განმცხადებელი: _____;

(სახელი და გვარი, ან იურიდიული პირის/ამხანაგობის შემთხვევაში - სახელწოდება)

2. პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი: _____;

3. განმცხადებლის საკონტაქტო ინფორმაცია:

3.1. მისამართი: _____;

3.2. განმცხადებლისთვის შეტყობინება უნდა გაიგზავნოს ქვემოთ მოცემულ ერთ ძირითად და ერთ ალტერნატიულ ნომერზე¹ ან ელექტრონულ მისამართზე²:

¹ აღნიშნული ნომრიდან *303# აკრეფით მომხმარებელს შეუძლია მობილური სერვისებით ინტერაქციულად სარგებლობა (ელ. ქვითარი, წყვეტები და სხვა).

² მითითებული ელ. ფოსტა გამოყენებული იქნება კომისიის „მომხმარებლის პორტალზე“ როგორც მომხმარებლის სახელი და საკონტაქტო ელ. მისამართი.

(მობ. ნომერი)

- ძირითადი;

(მობ. ნომერი)

- ალტერნატიული;

3.3. ელექტრონული ფოსტის მისამართი (სურვილის შემთხვევაში)

----- @ -----

(ელექტრონული ფოსტის მისამართი)

- ძირითადი;

4. აბონენტის №: _____;

(მიუთითეთ ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატის მიერ მინიჭებული აბონენტის ნომერი სადაც გასურთ ცენტრალურ გათბობის სისტემით მფლობელ მომხმარებელად რეგისტრაცია)

II. ძირითადი ინფორმაცია

5. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: _____;

(მიუთითეთ იმ უძრავი ქონების საკადასტრო კოდი, სადაც ცენტრალური გათბობის სისტემა მიერთებულია ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელთან)

6. ადგილი (მისამართი): _____;

(მიუთითეთ მე-5 პუნქტში მითითებული უძრავი ქონების მისამართი)

7. გაცნობებთ, რომ წინამდებარე განცხადებაში მითითებულ ცენტრალურ გათბობის სისტემის ფლობის ფორმაა:

საკუთრების ფორმით; ან

დროებითი ფლობით; - ამასთან, დროებითი ფლობის შემთხვევაში, განაცხადს თან უნდა დაერთოს, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარის წერილობითი თანხმობა (გარდა იმ შემთხვევისა, თუ განმცხადებელი უკვე რეგისტრირებულია ამ ობიექტზე მომხმარებლად).

III. ცენტრალური გათბობის სისტემიდან მომარაგებული ობიექტების მონაცემები

8. ცენტრალური გათბობით მოსარგებლე ობიექტების ჯამური რაოდენობა: _____; აქედან, საყოფაცხოვრებო: _____ და არასაყოფაცხოვრებო: _____.

(მიუთითეთ რაოდენობა)

(მიუთითეთ რაოდენობა)

9. ცენტრალური გათბობით მხოლოდ საყოფაცხოვრებო მიზნით სარგებლობის შემთხვევაში, ასევე შეავსეთ:³

9.1. ცენტრალური გათბობის სისტემიდან მომარაგებული ჯამური ფართობი: _____ (მ²);

9.2. ობიექტების და მათი ფართობის შესახებ დეტალური მონაცემები მოცემულია დანართი #1-ში: დიახ, ან არა⁴.

9.3. ცენტრალური გათბობის სისტემიდან მომარაგებულ ობიექტებზე რეგისტრირებული ელექტროენერგიის მომხმარებლების შესახებ დეტალური მონაცემები მოცემულია დანართი #2-ში: დიახ, ან არა.⁴

IV. ცენტრალური გათბობის სისტემის პარამეტრები

10. სარგებლობს თუ არა ცენტრალური გათბობის სისტემა განახლებადი ან/და ალტერნატიული ენერჯის წყაროთი: დიახ ან არა.

- დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითეთ თუ რომელი განახლებადი/ალტერნატიული ენერჯის წყაროთი სარგებლობს:

10.1. წყაროს დასახელება: _____; [i](#)

10.2. ცენტრალური გათბობის სისტემაში განახლებადი ან/და ალტერნატიული ენერჯის წყაროს ჯამური დადგმული სიმძლავრე: _____ კვტ.

V. ძირითადი მოთხოვნა

12. გთხოვთ, წინამდებარე განცხადებაში მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით, კომისიის 2009 წლის 9 ივლისის N12 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესებით“ (შემდგომში - წესები) დადგენილ ვადაში დამარეგისტრიროთ ცენტრალური გათბობის სისტემის მფლობელ მომხმარებლად და მომდევნო საანგარიშო თვიდან მოხმარებული ბუნებრივი გაზის ოდენობაზე დარიცხვა განახორციელოთ ცენტრალური

³ ეს ველი არ ივსება მე-8 პუნქტში არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლის ჩაწერის შემთხვევაში (თუ ცენტრალური გათბობის სისტემაზე, ერთი არასაყოფაცხოვრებო მიზნით მოსარგებლე მაინც თუ არის დაერთებული, მაგალითად: მაღაზია, ოფისი და სხვა მიზნით მოხმარებისა, გარდა საყოფაცხოვრებო მიზნებისა);

⁴ ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია განაცხადზე დადგინდეს ხარვეზი.

გათბობით მოსარგებლე პირთა მოხმარების მიზნობრიობის შესაბამისად.

13. ამ განაცხადის ხელმოწერით ვადასტურებ განაცხადში მოცემული ინფორმაციის სისწორეს და მასში ასახული პირობების შესრულების შემთხვევაში, შევასრულებ წესებით განსაზღვრულ ვალდებულებებს, მათ შორის დროულად გადავიხდი ცენტრალური გათბობის სისტემის მიერ მოხმარებულ ბუნებრივი გაზის საფასურს.

VI. დამატებითი ინფორმაცია

14. გესაჭიროებათ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა: დიახ; ან არა.
15. განაცხადში მოცემული ჩემი პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი:
- ა) გამოყენებულ იქნეს გაზომვარაგებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეტყობინების მიზნით: დიახ, ან არა;
- ბ) მიეწოდოს ელექტროენერჯისა და წყალმომარაგების სექტორში მომსახურე საწარმოებს, სადაც, განაცხადში მოცემულ მისამართზე, რეგისტრირებული ვარ მომხმარებლად და გამაჩნია აბონენტის ნომერი: არა ან დიახ:
- 1) _____ ; 2) _____ .

VII. თანდართული დოკუმენტაცია

16. სრულად საყოფაცხოვრებო მოხმარების შემთხვევაში:
- ცენტრალური გათბობის სისტემიდან მომარაგებულ ობიექტ(ებ)ის ფართობის შესახებ დეტალური მონაცემები - დანართი #1;
- ცენტრალური გათბობის სისტემიდან მომარაგებულ ობიექტ(ებ)ზე რეგისტრირებული ელექტროენერჯის მომხმარებლების მიზნობრიობის (საყოფაცხოვრებო-არასაყოფაცხოვრებო) მონაცემები - დანართი #2
- ცენტრალური გათბობის სისტემის სქემატური ნახაზი.
17. სხვა თანდართული დოკუმენტაცია (სურვილის შემთხვევაში): _____ ;

განმცხადებლის ხელმოწერა: _____

ცენტრალური გათბობის სისტემით მომარაგებული ობიექტების და მოსარგებლე პირთა დეტალური მონაცემები
(ივსება სრულად საყოფაცხოვრებო მოხმარების შემთხვევაში)

	1	2	3	4	5	6
N	ცენტრალური გათბობის სისტემიდან ცხელი წყლით მომარაგებული უძრავი ქონების საკადასტრო კოდი (ცენტრალური გათბობით მოსარგებლის იდენტიფიკატორი)	უძრავი ქონების დაზუსტებული მისამართი	უძრავი ქონების ცენტრალური გათბობის სისტემიდან მომარაგებული ფართობი (მ ²)	უძრავი ქონებით მოსარგებლე პირის (მომხმარებლის) სახელი, გვარი ან იურიდიული პირის დასახელება	პირადი ნომერი ან იურიდიული პირის საიდენტიფიკაციო კოდი	ცენტრალური გათბობის სისტემიდან მიღებული ცხელი წყლის მოხმარების მიზნობრიობა
						<input type="checkbox"/> საყოფაცხოვრებო; ან <input type="checkbox"/> არასაყოფაცხოვრებო
						<input type="checkbox"/> საყოფაცხოვრებო; ან <input type="checkbox"/> არასაყოფაცხოვრებო
						<input type="checkbox"/> საყოფაცხოვრებო; ან <input type="checkbox"/> არასაყოფაცხოვრებო
						<input type="checkbox"/> საყოფაცხოვრებო; ან <input type="checkbox"/> არასაყოფაცხოვრებო

**ცენტრალური გათბობის სისტემიდან მომარაგებულ ობიექტებზე რეგისტრირებული ელექტროენერგიის მოხმარებლების
დეტალური მონაცემები
(ივსება სრულად საყოფაცხოვრებო მოხმარების შემთხვევაში)**

	1	2	3	4	5
N	უმრავი ქონების საკადასტრო კოდი (ცენტრალური გათბობით მოსარგებლის იდენტიფიკატორი)	უმრავი ქონების დაზუსტებული მისამართი	ელექტროენერგიის გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მიერ მინიჭებული აბონენტის ნომერი	აბონენტის ნომერზე რეგისტრირებული მომხმარებლის სახელი გვარი/დასახელება	ელექტროენერგიის მოხმარების მიზნობრიობა
					<input type="checkbox"/> საყოფაცხოვრებო; ან <input type="checkbox"/> არასაყოფაცხოვრებო
					<input type="checkbox"/> საყოფაცხოვრებო; ან <input type="checkbox"/> არასაყოფაცხოვრებო
					<input type="checkbox"/> საყოფაცხოვრებო; ან <input type="checkbox"/> არასაყოფაცხოვრებო
					<input type="checkbox"/> საყოფაცხოვრებო; ან <input type="checkbox"/> არასაყოფაცხოვრებო
					<input type="checkbox"/> საყოფაცხოვრებო; ან <input type="checkbox"/> არასაყოფაცხოვრებო
					<input type="checkbox"/> საყოფაცხოვრებო; ან <input type="checkbox"/> არასაყოფაცხოვრებო
ცხრილში მოცემული მონაცემის სისწორე დადასტურებულია ელექტროენერგიის გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მიერ				ხელმოწერა / ბეჭედი: დადასტურების თარიღი:	